სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N7

ქ. გორი 2020 წელი

ერთი მხრივ, გორის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი გორის მუნიციპალიტეტის მერის, კონსტანტინე თავზარაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ. გორი, გრიგოლ ფერაძის N5
საიდენტიფიკაციო კოდი: 218086087
ტელეფონის ნომერი:
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 300843460

მეორე მხრივ, შპს "ვოთერ ლენდი“ წარმოდგენილი დირექტორის კონსტანტინე ღლონტის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ. N4
საიდენტიფიკაციო კოდი:№ 402000623
ტელეფონის ნომერი:
საბანკო რეკვიზიტები: სს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE39 TB7749 4360 6010 0001

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და რაოდენობა

1.1 შესყიდვის ობიექტია გორის მუნიციპალიტეტის მერიის **2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით არაგაზირებული მინერალური წყალი - CPV 15981100** – 19 ლიტრის მოცულობის პოლიკარბონატის ბოცით, ქარხნულად წარმოებული, ეტიკეტირებული - **900 (ცხრა ასი) ცალი.**
„წყალი გუდაური“ (ლიცენზია N10000130, 2018 წლის 09 აგვისტოს გაცემული საქართველოს გარემოს დავისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ) შესყიდვა.

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება შეადგენს **5.50 (ხუთი ლარი და 50 თეთრი) ლარი.**
2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **4 950.00** (ოთხიათას ცხრაას ორმოცდა ათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

3.1 ,,მიმწოდებელმა“ უნდა გადასცეს ,,შემსყიდველს“ დროებით სარგებლობის უფლებით - წყლის დისპენსერი - 20 (ოცი) ცალი, არანაკლებ ორ ონკანიანო ცხელი და ცივი წყლის ფუნქციით, სუფთა, ვიზუალურად და ტექნიკურად გამართული.
3.2 წყლის მიწოდება განხორციელდება 19 ლიტრის მოცულობის ბოცების საშუალებით ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) დღის ვადაში, ხოლო დისპენსერის დროებით სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.
3.3 მიწოდების ადგილი: ქ. გორი, ფერაძის N 5.
3.4„მიმწოდებელი“ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდებას „შემსყიდველის“ მიერ მითითებულ მისამართზე და მობ. ნომერზე 577 22 00 15 მოთხოვნის შესაბამისად.
3.5 ”მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს დისპენსერების გამართული ფუნქციონირება ბუნებრივი ცვეთის პირობებში.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდივს ობიექტის მიღება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მომწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერებით.

4.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელბას გორის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილების სპეციალისტი - მერაბ კასრაძე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

5.1 ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

5.2 ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების კონტროლს ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული პირი.

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 19 ლიტრიანი მოცულობის ბოცა და გადაცემული დისპენსერ(ებ)ი საკუთრების უფლებით ეკუთვნის „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ ისინი გადაეცემა მხოლოდ დროებით სარგებლობაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

7.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია „მიმწოდებლისაგან“ შეიძინოს ყოველი კალენდარული თვის განმავლობაში არანაკლებ 75 (სამოცდათხუთმეტი) ერთეული „წყალი გუდაური“ წინააღმდეგ შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოითხოვოს „მომხმარებლის“ დროებით სარგებლობაში არსებული ქონების (ბალონები/დისპენსერ(ებ)ის) უკან დაბრუნება.

7.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია გაუფრთხილდეს, დაიცვას მექანიკური დაზიანებისაგან და განადგურებისაგან დროებით სარგებლობაში არსებული ქონება და არ დაუშვას ბალონის/დისპენსერ(ებ)ის გამოყენება „წყალი გუდაური“-ის გარდა სხვა სახის სითხისათვის, დაიცვას დისპენსერ(ებ)ის გამოყენების დადგენილი წესები.

7.4„შემსყიდველი“ ასევე ვალდებულია ცარიელი 19 ლიტრიანი ბოცა შეინახოს და გადასცეს შემსრულებელს პროდუქციის ყოველი მომდევნო მიწოდების დროს ან შემსრულებლის მოთხოვნის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის ფართზე (მისივე ბრალით, ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ) ცარიელი ან/და ფუნქციონირებადი 19 ლიტრიანი ბოცა
„წყალი გუდაური“ და მისი შესაბამისი რაოდენობის მიწოდებული დისპენსერ(ებ)ი დაზიანდება, დაიკარგება ან ჩაისხმება სხვა ნებისმიერი სითხე „წყალი გუდაური“-ს გარდა, მომხმარებელი ვალდებულია აანაზღაუროს 1 ცალ 19ლ. ბოცაზე 18 ლარი, ხოლო დისპენსერის დაკარგვის ან ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში 1 ც. დისპენსერზე 300 ლარი.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-

მაჟორი).
8.2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორსმაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა
9.1 საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.02% ოდენობით.
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.
9.3 მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.
10.3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.
10.4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:
ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას;
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა) ან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, დაიწყო მიმწოდებლის ლიკვიდაციის პროცედურა;
გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. უფლებების გადაცემა
11.1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში info@gori.gov.ge; მიმწოდებლის შემთხვევაში - info@gudauri.world;) საშუალებით.

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.3 ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.4 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებისგზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე PDF ფაილის სახით, ხელმოწერილია ელექტრონულად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

13.6 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი: გორის მუნიციპალიტეტის მერი - კონსტანტინე თავზარაშვილი

Gori Municipality

Digitally signed by Gori Municipality
Date: 2020.12.31 13:47:36 +04'00'

მიმწოდებელი:

WATER LAND LLC

Digitally signed by WATER LAND LLC
Date: 2020.12.31 15:09:51 +04'00'